ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა 2007-2009 წლებში

(მოკლე ანგარიში)

I. საკანონმდებლო ბაზა. 2007–2009 წლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მოქმედებდა საქართველოს კანონებით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, უნივერსიტეტის წესდების და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების შესაბამისად (იხ.: http://www.tsu.edu.ge/data/file_db/xarisxis_martvis_dep/qa-statute.pdf), ENQA-ს (European Network of Quality Assuarance – ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელის) მიერ შემუშავებული დოკუმენტის "ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში" (იხ.: http://www.tsu.edu.ge/data/file_db/qa_docs/QA_geo.pdf) მიხედვით.

II. ადამიანური რესურსი და მატერიალური რესურსი. უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში 2007 წელს მუშაობდა 13 თანამშრომელი, 2008 წელს – 15, ხოლო 2009 წელს – 17.

2007 წელს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს საჩუქრად გადმოეცა 10 000 ლარის ღირებულების აპარატურა (TEMPUS-TACIS-ის პროექტის ფარგლებში: "აკრედიტაციის სისტემის განვითარება საქართველოს უნივერსიტეტებში", კოორდინატორი: ი. დარჩია), ხოლო 2009 წელს – 2 970 ლარის ღირებულების აპარატურა (IREX-ის პროექტის ფარგლებში: "პროფესორის პორტფელი: პროფესორის მიღების, შენარჩუნების და დაწინაურების მკაფიო და გამჭვირვალე პროცედურების დანერგვა თსუ-ში", კოორდინატორი: ნ. ჯავახიშვილი).

III. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები[1] და შედეგები:

1. **ხარისხის უზრუნველყოფის შიდა საუნივერსიტეტო პროცედურების ჩამოყალიბება** (უკვე არსებულის სრულყოფა და ახალი პროცედურების შემუშავება):

   საგანმანათლებლო პროგრამების წარმოდგენის, შეფასების და დამტკიცების პროცედურები, საგანმანათლებლო პროგრამების შიდა და გარე შეფასება (აკადემიური ექსპერტიზა) ქართველი და უცხოელი ექსპერტების მიერ, ლექტორების მიერ ერთმანეთის ლექციებზე დასწრება, სტუდენტთა გამოკითხვა (ტრადიციული ფორმით და ელექტრონულად), საგანმანათლებლო პროგრამების საჯარო განხილვები დაინტერესებული მხარეების, პოტენციური დამსაქმებლების მონაწილეობით და სხვ. (იხ. აკადემიური საბჭოს შესაბამისი დადგენილებები: http://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions).

[1] ცალკეული მიმართულებები ერთმანეთს ფარავს და ინფორმაცია მეორდება.

2. ხარისხის უზრუნველყოფასთან, კურიკულუმის რეფორმასთან, ინსტიტუციურ და პროგრამულ აკრედიტაციასთან, სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვასთან, უნივერსიტეტის სამომავლო განვითარებასთან დაკავშირებული დოკუმენტების, ნორმატიული აქტების, პროცედურების, წესებისა და ინსტრუქციების მომზადება:

პროცედურები: *პროფესიული უმაღლესი, საბაკალავრო, დიპლომირებული მედიკოსის, სამაგისტრო, სადოქტორო, უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების წარმოდგენისა და დამტკიცების პროცედურა, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების აკადემიური ექსპერტიზის პროცედურა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის წარმოდგენის პროცედურა, დიპლომის დანართის შემუშავების პროცედურა.*

ინსტრუქციები: *საბაკალავრო და დიპლომირებული მედიკოსის, სამაგისტრო, სადოქტორო პროგრამების შემუშავების ინსტრუქცია, უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამის ანოტაცია, თსუ დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის ახალი რედაქცია, თსუ პროგრამებით გათვალისწინებული პრაქტიკის სახელმძღვანელო, დიპლომის დანართის შემუშავების ინსტრუქცია, სილაბუსის ახალი ფორმა.*

წესები: *თსუ კურსდამთავრებულთა საშუალო ნიშნის (GPA) დაანგარიშების წესი, ქვემო ქართლის ყოფილი ფილიალის კურსდამთავრებულთა და/ან სტუდენტთა კრედიტების დაანგარიშების წესი, თსუ-ში ევროპული საკრედიტო სისტემის (ECTS) შემოღებამდე სტუდენტების მიერ გავლილი უმაღლესი განათლების სასწავლო კურსებისათვის კრედიტების მინიჭების წესი, მობილობის ფარგლებში გადმოსვლის მსურველ და/ან გადმოსულ, აღდგენილ სტუდენტთა კრედიტების აღიარების წესი, უცხოეთში სწავლის დროს დაგროვილი კრედიტების აღიარების წესი, საქართველოსა და უცხოეთის უნივერსიტეტების მიერ მინიჭებული აკადემიური ხარისხების აღიარების წესი.*

დებულებები, რეგულაციები: *თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება, თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილებები: საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალში (კლასიფიკატორში) ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, თსუ კურსდამთავრებულთათვის მისანიჭებელი აკადემიური ხარისხების (კვალიფიკაციების) დამტკიცების, თსუ სასწავლო პროგრამებში თუნინგის მეთოდოლოგიის დანერგვის, უცხოური ენების სწავლების დარეგულირების, უცხოენოვანი სასწავლო კურსების ამოქმედების, თსუ-ს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესის და თვითშეფასების კითხვარის დამტკიცების შესახებ.*

სტრატეგიები, რეკომენდაციები, კონცეპტუალური დოკუმენტები (თსუ-ს და ქვეყნის მასშტაბით): *თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგია (პროექტი), თსუ-ში საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვის კონცეფცია და სამოქმედო გეგმა (პროექტი) (ავტორები: ი. დარჩია, დ. კანდელაკი, დ. კიზირია, მ. მიქელაძე), შიდა საუნივერსიტეტო პროექტის "სასწავლო პროგრამების მოდერნიზაცია"*

საკოორდინაციო საბჭოს მოთხოვნები თსუ სასწავლო პროგრამების მოდიფიკაციასთან დაკავშირებით (პროექტი) (ავტორი: ი. დარჩია).
მონაწილეობა თსუ სტრატეგიული განვითარების გეგმის, პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტების პროექტის (2007 წ.), კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს (2007-2009 წწ.), დარგობრივი სტანდარტების შემუშავების პროცესში (2008-2009 წწ.).
ტემპუსის ეროვნულ ოფისთან თანამშრომლობით და მისი ეგიდით შემუშავდა: მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის (LLL) დანერგვა საქართველოს უნივერსიტეტებში (საქართველოს ეროვნული სტრატეგიის ნაწილი და გზამკვლევი) (ავტორი: ი. დარჩია), რეკომენდაციები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიმართ, საქართველოში სადოქტორო განათლების განვითარებასთან დაკავშირებით (ავტორი: ი. დარჩია).

3. **საგანმანათლებლო პროგრამების (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო, პროფესიული უმაღლესი, უწყვეტი განათლების), სილაბუსის შეფასების ფორმისა და კრიტერიუმების შემუშავება:**

აღნიშნული დოკუმენტები დამტკიცებულია თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით (2009 წლის 24 სექტემბრის ბრძანებები # 01/03, 02/03, 03/03, 04/03, 05/03) და განთავსებულია თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებ-გვერდზე:
http://www.tsu.ge/ge/government/rvd_wh785vzhmfoe/kurikulum;
http://www.tsu.ge/ge/government/rvd_wh785vzhmfoe/rxtgxxkqkqbhur8d2

4. **საგანმანათლებლო პროგრამების (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო, პროფესიული უმაღლესი, უწყვეტი განათლების) შიდა შეფასება:**

2006-2009 წლებში თსუ ფაკულტეტებისა და აკადემიური საბჭოს მიერ დასამტკიცებლად რეკომენდაცია გაეწია და ამოქმედდა: 52 საბაკალავრო, 101 სამაგისტრო, 49 გარდამავალი პერიოდის (ე. წ. ინდივიდუალური) და 62 ახალი სადოქტორო, 3 პროფესიული უმაღლესი, უწყვეტი განათლების 14 საგანმანათლებლო პროგრამა (შეფასების შევსებული ფორმები ინახება ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში).

5. **საგანმანათლებლო პროგრამების (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო, პროფესიული უმაღლესი, უწყვეტი განათლების) გარე შეფასება:**

2007-2009 წლებში ამოქმედებული 155 საბაკალავრო, ერთსაფეხურიანი და სამაგისტრო პროგრამის 39 %-ს გაუკეთდა გარე შეფასება (აკადემიური ექსპერტიზა), ხოლო დანარჩენი პროგრამები განხილულ იქნა საჯაროდ, გარე ექსპერტების და დამსაქმებლების მონაწილეობით (რეცენზიები და საჯარო განხილვის ოქმები ინახება თსუ და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში).

გარე ექსპერტების, დარგის სპეციალისტების რეცენზიების საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები წარედგინა საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებს, თსუ რექტორსა და აკადემიურ საბჭოს.

6. **სტუდენტთა გამოკითხვა:**

სტუდენტთა გამოკითხვის კითხვარების შემუშავება (კითხვარი დამტკიცებულია თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2009 წლის 29 სექტემბრის ბრძანებით # 06/03), უკვე არსებულის მოდიფიკაცია, გამოკითხვის ორგანიზება, კითხვარების დამუშავება, შედეგების გაცნობა აკადემიური პერსონალისთვის, კითხვარების დამუშავების შედეგად რეკომენდაციების წარდგენა აკადემიური საბჭოსთვის, სტუდენტთა ელექტრონული გამოკითხვის ორგანიზება.
გამოკითხვის შედეგები და მათ საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები იხ. თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებ-გვერდზე: http://www.tsu.ge/ge/government/rvd_wh785vzhmfoe/xtpsmge0wmndkyo8

7. **სტუდენტთა მობილობისთვის ხელის შეწყობა:**

კრედიტების აღიარების წესების შემუშავება, სტუდენტთა მიერ საზღვარგარეთ მოსმენილი სასწავლო კურსების კრედიტების, სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან გადმოსული სტუდენტების, თსუ-დან გარიცხული და აღდგენილი სტუდენტების კრედიტების აღიარების პროცესში მონაწილეობა, საკონსულტაციო შეხვედრა-პრეზენტაციები თსუ სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის მობილობასთან და კრედიტების აღიარებასთან დაკავშირებით, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებისა და ხელშეკრულებების ორგანიზება საქართველოს სამხატვრო აკადემიასთან და თეატრისა და კინოს უნივერსიტეტთან სტუდენტების გაცვლითი პროგრამების ამოქმედებისა და კრედიტების ურთიერთაღიარების მიზნით.
*2007-2009 წლებში 90 სტუდენტისთვის მოხდა საზღვარგარეთ, მსოფლიოს 11 სხვადასხვა ქვეყანაში მოპოვებული კრედიტების აღიარება (*2007 წ. – 9, 2008 წ. – 26, 2009 წ. – 55*).*

8. **მონაწილეობა ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვაში, გარდამავალ პერიოდში გაუქმებული სასწავლო პროგრამების აღდგენაში:**

აღდგა: ამერიკანისტიკა, სინოლოგია, იაპონისტიკა (2007 წ.);
დაინერგა: ბიზანტიური ფილოლოგია, სკანდინავისტიკა, ევროპისმცოდნეობა (2007 წ.), დაწყებითი განათლება, განათლების მეცნიერებები (დამატებითი, ე. წ. minor პროგრამა), ელექტრონიკა, გამოყენებითი ბიოლოგია (2008 წ.).

9. **ტრენინგების, სემინარების, სამუშაო კონფერენციების, საკონსულტაციო შეხვედრა-პრეზენტაციების ორგანიზება შემდეგ თემებზე:**

კურიკულუმის შემუშავება, სილაბუსის წერა, ECTS, ხარისხის უზრუნველყოფა, პროექტის წერა, უწყვეტი განათლება, ბოლონიის პროცესი, ევროპასთან სამეცნიერო თანამშრომლობა, ბოლონიის პროცესის დანერგვა საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო სისტემაში, ინსტიტუციური აკრედიტაციის სტანდარტები (სამუშაო ვერსია), პროგრამული აკრედიტაციის პროცესი, პროგრამული აკრედიტაციის პროცედურები გერმანიასა და ავსტრიაში, პროფესიული უმაღლესი პროგრამების შემუშავება (2007 წ.), სწავლის შედეგები, spss პროგრამა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამების მომზადება (2008 წ.), თუნინგის პრინციპების დანერგვა, სილაბუსების შემუშავება და სრულყოფა, სადოქტორო განათლება, SPSS პროგრამა, პროფესორის პორტფოლიო (2009 წ.) და სხვ.

სამუშაო კონფერენციები და სემინარები: ენების სწავლება უნივერსიტეტში: პრობლემები და პერსპექტივები (2007 წ.), საკომუნიკაციო უნარების განვითარება საუნივერსიტეტო კურიკულუმში: აკადემიური წერა (2008 წ.), უნივერსიტეტში მოქმედი შეფასების სისტემა, პროფესორის პორტფელი (2009 წ.).

10. მონაწილეობა ბოლონიის პროცესთან, ხარისხის უზრუნველყოფასთან, აკრედიტიციასთან დაკავშირებულ ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში, ტრენინგებში:

დეტალური ინფორმაცია იხ. თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყოველწლიურ ანგარიშებში (2007 წ. 2008 წ. 2009 წ.): http://www.tsu.edu.ge/ge/government/rvd_wh785vzhmfoe/fgiagsmxaw6zeywg

11. მივლინებები საზღვარგარეთ, ურთიერთობები მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტთან, ხარისხის უზრუნველყოფის და აკრედიტაციის სააგენტოებთან:

2007-2009 წლებში თსუ და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის 12 თანამშრომელი 48-ჯერ გაემგზავრა მივლინებით მსოფლიოს 19 ქვეყანაში კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, მათგან მხოლოდ ერთი მივლინება დაფინანსდა სრულად, ხოლო 2 მივლინება – ნაწილობრივ თსუ-ს ბიუჯეტიდან. თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 14 მივლინებიდან მხოლოდ ერთი დაფინანსდა სრულად, ხოლო ერთი – ნაწილობრივ თსუ-ს ბიუჯეტიდან.

12. თვითშეფასების პროცესის ორგანიზება ლიცენზირების პირობების გადამოწმების მიზნით (2006 წ.), ინსტიტუციური აკრედიტაციის პირობების გადამოწმების მიზნით (2008 წ. 2009 წ.);

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინირებით მომზადდა თსუ თვითშეფასების ანგარიში ლიცენზირების პირობებთან შესაბამისობის შესახებ (2006 წ.);

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინირებით მომზადდა თსუ თვითშეფასების ანგარიში ინსტიტუციური აკრედიტაციის კრიტერიუმებთან შესაბამისობის შესახებ (7 ბაინდერი, 3 233 გვერდი) (2008 წ.);
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინირებით მომზადდა თსუ თვითშეფასების ანგარიში ინსტიტუციური აკრედიტაციის კრიტერიუმებთან შესაბამისობის შესახებ (474 გვერდი) (2009 წ.);

13. **თსუ საგანმანათლებლო პროგრამების წარდგენა სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში:**

3 პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა ("კინო-ტელე რეჟისურა", "ტანსაცმლისა და დეკორატიული ქსოვილების დიზაინი", "სახვითი ხელოვნება"). სამივე პროგრამამ გაიარა აკრედიტაციის ყველა ეტაპი და თსუ-ს მიენიჭა აკრედიტაცია პროფესიული უმაღლესი განათლების ნაწილში.
მასწავლებლის პროფესიული განვითარების 14 საგანმანათლებლო პროგრამა (სულ: 273 გვერდი), მათგან 13-ს ორი წლით მიენიჭა პროგრამული აკრედიტაცია.
თსუ-ში მოქმედი სამაგისტრო პროგრამების ანოტაციები (57 გვერდი), რომელთა საფუძველზეც მოხდა მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებებთან აღნიშნული პროგრამების თავსებადობის დადგენა სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ.

14. **აკადემიური საბჭოსთვის დადგენილებების პროექტების მომზადება კომპეტენციის ფარგლებში:**

2006-2009 წლებში თსუ აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული 328 დადგენილების 19 %, კერძოდ, 62 დადგენილება მომზადდა თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ (2006 წ. – 3, 2007 წ. – 12, 2008 – 10, 2009 – 37).

15. **პასუხი კორესპონდენციებზე:**

2007-2009 წლებში თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოვიდა 717 და გავიდა 1054 კორესპონდენცია (2007 წ.: შემოსული – 144, გასული – 221, 2008 წ.: შემოსული – 195, გასული – 370, 2009 წ.: შემოსული – 378, გასული – 463), რომლებიც შეეხებოდა ხარისხის უზრუნველყოფის, ინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტაციის აქტუალურ საკითხებს, საგანმანათლებლო პროგრამებს და კურიკულუმის რეფორმას, სასწავლო პროცესის უკეთ ორგანიზებას, სტუდენტთა მობილობასა და კრედიტების აღიარებას, საერთაშორისო ურთიერთობებს, უცხოელი პროფესორების ვიზიტებს და სხვ.